

## შრომის დაცაფილების პრიცეპის მათემატიკური ილუსტრაცია

დ. ჩახვაშვილი, ო. ტომარაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

დადგენილია, რომ კლასიკური ეკონომიკური სკოლის ფუძემდებლის დროიდან დღემდე ეკონომიკური მეცნიერება მეთოდოლოგიურად შეიცვალა. ემპირიული და ალტერილობითი მეცნიერებიდან იგი დაფუქციურ მეცნიერებად გადაიქცა. აქ ერთგვარი კანონიც კი ამოქმედდა. თავიდან ერთი მეცნიერი გარკვეული რაოდენობის ფაქტებს კრებს და სისტემაში მოჰყვს. შემდგომ, როდესაც მოვლენის სიღრმეში შეღწევა როტლდება, ძიებაში ერთვება კვლევის როტლი ანალიტიკური და მათემატიკური არსენალი, რაც შრომის დანაწილების კიდევ ერთი მაგალითი და დიდი მიღწევაა.

**საკვანძო სიტყვები:** შრომის დანაწილება. მათემატიკური მოდელი. კომუნიკაცია.

### 1. შესავალი

ადამიანი, რომელიც ცდილობს შეისწავლოს თანამედროვე ეკონომიკა, ადრე თუ გვიან მიდის დასკნამდე, რომ იგი მათემატიკის ერთეული განშტოების წინაშე დგას. მართლაც, ყველაფრის წინაპირობა მეტნაკლებად ნათელი დებულებაა (assumptions), რმლებიც თავისთავად სტატისტიკური მონაცემების შესწავლის ნაყოფია. შემდეგ საქმეში ერთვება მათემატიკის ისეთი მძლავრი განაყოფებები, როგორიცაა ოპტიმალური მართვა, მათემატიკური სტატისტიკადა და ეკონომეტრიკა. ყოველივე ამას აგვირგვინებს დასკვნა (conclusions&implications), რომელიც ყოველთვის უფრო ზუსტი და დამაჯერებელია, ვიდრე ნებისმიერი სიტყვიერი მსჯელობა. ხოლო, პრაქტიკაში თუ რამე შეცდომით განხორციელდა, ეს ძირითადად საწყისი მონაცემების უზუსტობის შედეგია და მოდელის მოდიფიკაციის შემდეგ მისი გამოსწორება შესაძლებელია.

დავუშვათ, ჩვენი ამოცანაა ესსეს დაწერა ეკონომიკური სტატიების ისტორიის შესახებ. ჩვენს წინაშე გადაიშლება ზღვა მასალა, რომლის ლომის წილს არამათემატიკური წიგნები, სტატიები, ტრაქტატები და მონოგრაფიები წარმოადგენს. გასული საუკუნის კორიფებისაკუთარ მოსაზრებებს ძირითადად ჰუმანიტარულ სტილში აყალიბებდნენ, რაც კონკრეტული საკითხის განხილვის დროს ისეთ ველს ქმნის, რომელზეც ორიენტაცია საკმაოდ რთულია.

განვიხილოთ ეკონომიკის აღიარებული კლასიკოსის ადამ სმიტის „გამოკვლევა ადამიანთა სიმიღიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, კერძოდ, ამ წიგნის პირველი სამი თავი, რომელიც შრომის დანაწილებას ეძღვნება. დავსათ კითხვა: რამდენად შესაძლებელია მათემატიკური ფორმულების ენაზე ავდწეროთ ყოველივე ის რაც მოცემულია ნაშრომის ამ თავებში?

ადამ სმიტის ხსენებული ტექსტის კითხვისას შევამხნევთ, რომ: 1) წიგნი შეიცავს უამრავ პრაქტიკულ მაგალითს; 2) გამოყნებულია მონაცემები მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, კერძოდ - ისტორიიდან, გეოგრაფიიდან, ბიოლოგიდან და სხვ. 2) წიგნი საქმაოდ იოლად იკითხება, თითქმის ისე, როგორც მხატრული ლიტერატურა. ნათელია, რომ მათემატიკური ტექსტი ვერ შეძლებს ასეთი პირობების დაკმაყოფილებას.

### 2. ეკონომიკური ზრდის ფაქტორები

ადამ სმიტი დამაჯერებლად აღნიშნავს, რომ წლიური პროდუქტის სიდიდე, რომელიც ქვეყნის ერთ სულ მოსახლეზე მოდის, დამოკიდებულია ორ პირობაზე: პირველია, მუშაკის კვალიტებიკაცია, განსაკუთრებული საზრიანობა და უნარ-ჩვევები; მეორეა, იმ ადამიანთა თანაფარდობა, რომლებიც დაკავებულებიარიან სასარგებლო შრომით და რომლებიც არა. ავტორის

აზრით, ტერიტორიის, კლიმატის და ნიადაგის ნაყოფიერების მიუხედავად, ერის სიმდიდრე ყოველთვის იქნებადამოკიდებული ამ ორ ფაქტორზე.

ეკონომიკური მეცნიერებისგანვითარებამ და სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკამ გარკვეული კორექტივები შეიტანა ამ მოსაზრებაში. სპარსეთის ყურის ქვეყნების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ „განსაკუთრებული საზრიანობის და უნარ-ჩვევების“ გარეშეც, შესაძლებელია ცხოვრების მაღალი დონის მიღწევა. ასევე გაიზარდა მომსახურების სფეროს მნიშვნელობა, რომელის წილმაც ზოგიერთი განვითარებული ქვეყნების მშპ-ში 60%-ს მიაღწია. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკური ზრდის მირითადი ფაქტორი შრომის მწარმოებლურობის ზრდა არის, რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგია.


ადამ სმიტი შრომის განაწილების მნიშვნელობაზე საუბრობს, ამით იგი პლატონს ეხმანება, რომელიც იგივეს ამბობდა. მაგრამ სმიტის ორიგინალობა ინაში მდგომარეობს, რომ იგი მას განიხილავს, როგორც შრომის მწარმოებლურობის ზრდის მირითად ფაქტორს. ამას დღესაც შეგვიძლია დავეთანხმოთ, მხოლოდ იმ დამატებით, რომ ჩვენ დროს ტექნიკურ პროგრეს არ უზრუნველყოფენ უბრალო მუშაბი, რომლებიც კონცენტრირებულები არიან 1-2 ელემენტარულ ოპერაციაზე, არამედ მეცნიერები და ინჟინრები, რომლებიც ხშირად ასევე ვიწრო სპეციალიზაციით გამოირჩევიან.

თუ ჩნდება აუცილებლობა ფორმულით გამოვსახოთ ის, თუ რაოდენ სასარგებლოა შრომის განაწილება, ვდგებით შემდეგ პოზიციაზე: განვიხილოთ ფუნქცია  $T(x)$ , ანუ დრო, რომელიც სჭირდება მუშაკს, რაიმე პროდუქტის შესაქმნელად, იმ შემთხვევაში თუ წარმოება ითხოვს სხვადასხვა  $x$  ელემენტარულ ოპერაციას. ნათელია, რომ დრო  $\Delta T$  ყოველი ახალი ოპერაციის დამატებასთან ერთად იზრდება. რადგან მუშაკს უჭირს ერთდროულად სხვადასხვა შინაარსის ოპერაციების შესრულება. სხვანარად რომ ვთქვათ, ფუნქცია  $T(x)$  – აშკარად ამოზნექილია, თანაც  $T(0) = 0$ . ასეთივე ფუნქციას წარმოადგენს  $T(x) = x^a$  მაშინ, როცა  $a > 1$  ან  $T(x) = x \ln x$ .

შრომის განაწილების პირობებში, პროდუქტის შესაქმნელად, რომელიც ითხოვს  $N$  ოპერაციას,  $K$  რაოდენობის მუშაკებისგან, ჯამური დრო, რომელიც მათ დასჭირდებათ,  $KT(N/K)$  ტოლია, ხოლი შრომის განაწილების გარეშე  $T(N)$ .

$$G'(K) = T(N/K) - (N/K)T'(N/K)$$

ფუნქცია  $G(K) = KT(N/K)$ , როგორც ამას გამოთვლები გვიჩვენებს იკლებს შრომის განაწილების სასარგებლოდ (ნახ.1). მართლაც, ლაგრანჟის თეორემის თანახმად  $T(N/K) = (N/K)T'(\xi)$ , სადაც  $\xi < N/K$ , და საწყისი ფუნქციის ზრდასთან ერთად  $T(x)$ ,



$$G'(K) = (N/K)(T'(\xi) - T'(N/K)) < 0$$

აქედან ვიღებთ, რომ რაც უფრო მეტია განაწილება, მით მეტია შრომის მწარმოებლურობა. მაგალითად, თუ  $T(x) = x^2$ , მაშინ  $KT(N/K) = T(N)/K$ , ანუ მწარმოებლურობა იზრდება  $K$ -ჯერ.

შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობის მათემატიკური ილუსტრაცია დევიდ რიკარდოს ნაშრომებშია მოცემული, იგი საქვეყნოდ ცნობილია, ამიტომ მას ამ სტატიაში არ განვიხილავთ.


ჩვენი დროის ბევრ მეცნიერს გაუჩნდათ ლეგიტიმური კითხვა, მიუხედავად იმისა, რომ სმიტმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა კომუნიკაციას, რატომა არ გამოყო იგი დამოუკიდებელ

ფაქტორად, რომელიც შრომის მწარმოებლურობასთან ერთად ზრდის მატერიალურ კეთილდღეობას. ამის გასარკვევად განვიხილოთ შემდეგი მოდელი.

დავუშვათ გვიქვს წრიულად განლაგებული ინდივიდუალის კონტინუუმი. წრე კი გავიაზროთ, როგორც  $[-\pi, \pi]$  მონაკვეთი. ასევე დავუშვათ საქმიანობის გარკვეული  $x$  კონტინუუმიც. ამასთან ა ინდივიდის  $G$  მწარმოებლურობა  $x$  საქმიანობის მიხედვით ერთი მწვერვალით აისახება  $x = a$ , ასე, რომ ყოველი ადამიანი „საკუთარ“ საქმეს უკეთესად აკეთებს, ვთქვათ

$$G = \cos(x - a) + 1$$

ახლა, დავუშვათ, რომ ბაზრის შეზღუდულობის გამო შესაძლებელია მხოლოდ  $k$  სახეობის საქმიანობა, მეტი სიმარტივისთვის,  $k$  წრეზე თანაბარად დაშორებული წერტილებად განვალაგოთ (ნახ.2),



ნახ.2

ნებისმიერმა თავისთვის უფრო მოსახერხებელი რომ აირჩიოს. განვსაზღვროთ  $G(k)$ , რომელიც  $k$ -ზე დამოკიდებულია. თუ  $k=1$ , მაშინ

$$G(1) = \int_{-\pi}^{\pi} (\cos(0 - a) + 1) da = 2\pi$$

ამასთან, როცა  $k > 1$

$$G(k) = k \int_{-\pi}^{\pi} (\cos a + 1) da = 2\pi + 2k \sin(\pi / k)$$

იოლი შესამჩნევია, რომ  $G(k)$  მონოტონურად იზრდება და ორმაგდება კიდევ:

$$G(\infty) = 2G(1) = 4\pi.$$

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შრომის სხვადასხვა სახეობების მწარმოებლურობის შეზღუდულობის პირობებში კომუნიკაცია მატერიალური კეთილდღეობის ზრდის საშუალებას იძლევა, ოღონდ გარკვეულ ზღვრამდე, რასაც კომუნიკაცია ე.წ. დამზარე ფაქტორამდე დაჭყავს. სახვაგვარად მწარმოებლურობის უსასრულო ზრდა ეკონომიკის უსასრულო ზრდას გამოიწვევდა.

ჩვენი მსჯელობის საწყის კითხვაზე კი ასეთი პასუხი შეგვიძლია გავცეთ. შრომის დანაწილების ადამ სმიტის თეორიის მათემატიკური ილუსტრაცია შესაძლებელია. მაგრამ საამისო მასალა არც ისეთი როგორია, ამიტომ ნაკლებად მოთხოვნადი. ხოლო სმიტის შეული აღწერითი (მაგალითებით გაჯერებული) მეთოდი, დროითი კონტექსტის დათვალისწინებით, იდეალურად ერგებანაშრომის მიზანს და განუმეორებელ კოლორიზე ანიჭებს.

### 3. დასკვნა

კლასიკური ეკონომიკური სკოლის ფუძემდებლის დროიდან დღემდე ეკონომიკური მეცნიერება მეთოდოლოგიურად შეიცვალა. ემპირიული და აღწერილობითი მეცნიერებიდან იგი დედუქციურ მეცნიერებად გადაიქცა. შესაძლებელია აქ ერთგვარი კანონიც კი მოქმედებს: თავიდან ერთი მეცნიერი გარკვეული რაოდენობის ფაქტებს კრებს და სისტემაში მოჰყავს. შემდგომ, როდესაც

მოვლენის სიღრმეში შეღწევა შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელი ხდება, ძიებაში ერთვება კვლევის რთული ანალიტიკური და მათემატიკური არსენალი, რაც თავისთავად შრომის განაწილების კიდევ ერთი მაგალითი და დიდი მიღწევა არის.

#### **ლიტერატურა:**

1. სმითი ა. გამოკვლევა ადამიანთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თბ., 1937
2. თიულ ი. ჟოზეფ ლუი ლაგრანჟ. მ., “Либроком”, Серия: Физико-математическое наследие. 2010.

## **MATHEMATICAL ILLUSTRATION PRINCIPLE OF A DIVISION OF LABOUR**

Chakhvashvili D., Tomaradze O.  
Georgian Technical University

#### **Summary**

It is known that since the days classical economics school has founded to the present day economics fundamentally changed. It has changed from empirical and descriptive science to deductive science, governed by the applicable laws. Initially, a scientist collects a certain number of facts and organizes them. Further, when understanding of gathered facts became complicated, to the research complex scientific, analytical and mathematical arsenal is involved, and this is the great achievement of the proper labor division.

## **МАТЕМАТИЧЕСКАЯ ИЛЛЮСТРАЦИЯ ПРИНЦИПА РАСПРЕДЕЛЕНИЯ ТРУДА**

Чахвашвили Д., Томарадзе О.  
Грузинский Технический Университет

#### **Резюме**

Известно, что со времен основателей классической экономической школы по сегодняшний день экономическая наука основательно изменилась. Она из эмпирической и описательной перевоплотилась в дедуктивную науку, подчиняющуюся соответствующим законам. Вначале один ученый собирает определенное количество фактов и систематизирует их. Далее, когда усложняется понимание глубин собранных фактов, к поиску подключается сложный научный аналитический и математический арсенал, что является большим достижением правильного распределения труда.